შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული
სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 032) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 81/14

L.T.D. projecting,
architect-design
studio
„BAZISI XXI“

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„18“ ივნისი. 2014წ.

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა №16ა მესაკუთრე შ.პ.ს. „ჩიკო“-ს (საკადასტრო კოდი 01.14.14.008.029) მიერ ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ს. ჩიქოვანის №14; ს. ჩიქოვანის №16ბ მიმიჯნავე სახლების კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე შ.პ.ს. „ჩიკო“-ს მიერ ასაშენებელი სახლის მიმდებარედ ს. ჩიქოვანის №14 და ს. ჩიქოვანის №16ბ მიმიჯნავე სახლებს მისი კონსტრუქციული თვალსაზრისით მდგრადობის დასადგენად.

შ.პ.ს. „ჩიკო“-ს მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი სახლი მრავალსართულიანია, მრავალბინიანი კარკასული ტიპის (მონოლითური კარკასი). საძირკვლები მონოლითური რკინა-ბეტონის, სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინა-ბეტონის. მიმდებარე შენობები ს. ჩიქოვანის ქუჩა №14 ორსართულიანია, ნახევარსარდაფით კარკასული ტიპის. კედლები წვრილი ბლოკის. ს. ჩიქოვანის №16ბ ერთსართულიანია ნახევარსარდაფით. საძირკვლები მონოლითური რკინა-ბეტონის, კედლები აგური, ბლოკი. სახურავი თუნუქის ხის კოჭებზე.

დასკვნა

ქ. თბილისში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა №16ა მშენებარე სახლის მიმდებარედ მდებარე საცხოვრებელი სახლები №14 და №16ბ მიმიჯნავე სახლები კონსტრუქციული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არ შეიმჩნევა სერიოზული ბზარები და არ აღინიშნება ჯდენები.

შენიშვნა:

სიმონ ჩიქოვანის ქუჩა №16ა-ში ასაშენებელი სახლის მშენებლობის დროს, ვინაიდან ნიშნულების სხვაობა 1.2÷1.5 მ-ია, მომიჯნავე შენობების მომიჯნავე კედლები ჩაღრმავდეს საპროექტო შენობის საძირკვლის დონემდე.

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის
გენ. დირექტორი, კონსტრუქტორი ი. ცერცვაძე

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის
დირექტორი, კონსტრუქტორი ჯ. ჯაფარიძე